საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება:

- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“** (7 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობისა და აუდიტის ჩატარების გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის დასრულდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (სულ 11 მსმენელი).
- კერძო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და აკადემიის თანამშრომლებისთვის სხვა კომპანიების თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა სასწავლო კურსი **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)“** (სულ 5 მსმენელი).
- კერძო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის თანამშრომლისთვის სხვა კომპანიების თანამშრომლებთან ერთად ტარდება სასწავლო კურსი **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)“** (1 მსმენელი).
- ქართული ენის ნორმების დაცვის, გამართული მიმოწერის წარმართვისა და საქმიანი ქაღალდების ეფექტიანად შედგენის მიზნით, სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„პროფესიული წერა და საქმიანი კომუნიკაცია“** (29 მსმენელი).
- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით საჯარო ორგანიზაციების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს საშუალო რგოლის

- წარმომადგენლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (7 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, შემოსავლების სამსახურისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის კავკასიის კველევითი რესურსების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგები „**სტატისტიკა სოციალურ კვლევებში, ანალიზი“** (17 მსმენელი) და **„მონაცემთა ვიზუალიზაცია“** (15 მსმენელი), **„მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი და ვიზუალიზაცია“** (11 მსმენელი).
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის სხვა თანამშრომლებისათვის ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (34 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის მიმდინარეობდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (სულ 19 მსმენელი).
- სსიპ- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის პრეზენტაციების ჩატარებისა და მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკების დახვეწის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი „**მოლაპარაკების წარმოება, არგუმენტირებული მსჯელობა და დარწმუნების უნარ-ჩვევები**“ (35 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის პრეზენტაციებისა და საჯარო გამოსვლების უკეთ განხორციელების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი **„პრეზენტაციის ჩატარებისა და მომზადების ტექნიკა**“ (46 მსმენელი).
- ცენტრალური აპარატის, შემოსავლების სამსახურის, მომსახურების სააგენტოსა და სახაზინო სამსახურის მენეჯერებისათვის ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი **„ლიდერობა და მართვა“** (62 მსმენელი).
- საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისთვის დამმობილების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „ **გამოძიების დაგეგმვა და კიბერ-დანაშაულებების გამოძიება“** (სულ 55 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, ჩატარდა სასწავლო **კურსი: “ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში**“ (13 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, ცენტრალური აპარატის და სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (36 მსმენელი).
-

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების დაცვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (2 მსმენელი).
- მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს სამუშაო პროცესში უნარების განვითარების მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგები **„მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა“** (19 მსმენელი) და **„სასაწყობო საქმიანობის მართვა“** (20 მსმენელი).
- ლოგისტიკის ფუნქციების და მარაგების მართვის შესახებ პრაქტიკული ქეისების განხილვით ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი "**ლოგისტიკა**"." (18 მსმენელი).
- მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებული საგადასახადო ცვლილებების გაცნობის მიზნით, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი დაესწრო ტრენინგს **„მოგების გადასახადის რეფორმა“** (სულ 1 მსმენელი).
- საჯარო ორგანიზაციის რისკის მართვისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების გაცნობისა და გაანალიზების მიზნით საქართველოს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის კონტექსტში, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის GIZ-ის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე **"რისკების მართვა"** (21 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„საქონლის იდენტიფიცირება“.** სამიზნე ჯგუფი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები. (სულ 20 მსმენელი).
- ვერბალური, არავერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **"სტრატეგიული კომუნიკაცია"** (სულ 28 მსმენელი).
- საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებისათვის სხვა სამინისტროების IT მიმართულების თანამშრომლებთან ერთად მაიკროსოფტის სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით ჩატარდა ტრენინგი „Microsoft-ის სიახლეები“ (სულ 3 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ექსელის პროგრამის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების ასახვისა და განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„Ms. Excel პროფესიული კურსი, დონე- Basic, Intermediate“** (129 მსმენელი).
- პროექტების მართვის სტრუქტურის, პროცესის, ვადების, რისკის იდენტიფიცირების, შესაბამისის პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესწავლის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი

„პროექტების მართვა“(17 მსმენელი).

- შემოსავლების სამსახურის საბაჟო, იურიდიული და საერთაშორისო დეპარტამენტის, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა **ტრენინგი „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS)“** (61 მსმენელი).
- სამუშაო დროისა და მიზნების ეფექტურად და პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„დროისა და მიზნების მართვა“** (49 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ტრენინგი **„ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ორისი“** (9 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმებისა და პრინციპების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესის, დავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების, სახელმწიფოსა და საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის საკითხების განხილვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**“ (19 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის პორტის კონტროლის დანაყოფების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: **„სტრატეგიული ვაჭრობის და ექსპორტის კონტროლი“ (STEC)**, რომლის მიზანია გაუზარდოს ცოდნა, მისცეს მეტი გამოცდილება, რათა ტრეფიკინგისთვის გამოყენებული საზღვაო გზით შემოსული კონტეინერების რისკი იქნეს დაყვანილი მინიმუმამდე, როგორიცაა წინამორბედი ქიმიკატები, ნარკოტიკები, მასობრივი განადგურების იარაღები და ა.შ. (18 მსმენელი).
- **GIZ-თან თანამშრომლობის ფარგლებში** ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის (განსაკუთრებით ტრანსფერ ფრაისინგის სამმართველო), მომსახურების და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„მუდმივი დაწესებულების კონცეფცია“,** რომლის მიზანია მონაწილეებმა შეძლონ რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ მუდმივი დაწესებულების კონცეფცია, ისე როგორც ეს OECD-ის მოდელით არის განსაზღვრული. (20 მსმენელი)
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სწორად გამოყენების პრინციპებისა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ შემუშავებული მიდგომების გაცნობის მიზნით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„ორმაგი დაბეგვრის პრინციპები“** (სულ 80 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტისა და აკადემიის თანამშრომლებს კრიტიკული ხედვის უნარების დახვეწის მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგი „ **კრეატიული აზროვნება“** (15 მსმენელი).

- საჯარო სამსახურის შეებ კანონში განხორციელებული ცვლილების გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის ადამიანური რესურსების სამსახურების თანამშრომლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა **„კონკურსი საჯარო სამსახურში“** (21 მსმენელი).
- Ms. Word; Ms. PowerPoint-ში მუშაობის ტექნიკების დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა **სიღრმისეული კურსი Ms. Word; Ms. PowerPoint** (სულ 14 მსმენელი).
- სამუშაო პროცესში კონფლიქტური სიტუაციების პრევენციისა და მართვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„ორგანიზაციული კონფლიქტების მართვა“** (17 მსმენელი)
- ფინანსთა სამინისტროს მაღალი რგოლის ხელმძღვანელებისათვის ჩატარდა გასვლითი ტრენინგი **„მართვისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციები**“ (21 მსმენელი)
- შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტისა და აკადემიის პროგრამების მართვის სამსახურის თანამშრომლებს ეფექტური მომსახურების ტექნიკების დაუფლების კუთხით ჩაუტარდათ ტრენინგი „ **სერვის პლუსი“** (57 მსმენელი)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს **საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორების** კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, მიმდინარეობს **სპეციალიზებული კურსი**. (სულ 34 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „მსოფლიო ბანკთან - დასაბეგრი ბაზის შე**მცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტის იმპლემენტაცია**“ (14 მსმენელი).
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკებების უკეთ წარმართვის მიზნით, აკადემიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ინგლისურ ენაში (11 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაბეგვრის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ერთ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი „**საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული ნორმები“** (1 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისათვის ატარდა ტრენინგი **„სახელმწიფო შესყიდვების ცალკეული საკითხები“** (სულ 26 მსმენელი)
- ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და შესაძლო გაუმჯობესების გზების შემუშავების მიზნით ფინანსთა სამინისტროს

- დეპარტამენტებისა და სამმართველოს უფროსებისთვის GIZ-ის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება“,** ტრენინგი ჩატარდა 3 ეტაპად (სულ 34 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მხარდაჭით უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემაზე: **„არა ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობა“** (სულ 46 მსმენელი), ხოლო შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის პოლონელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე **„საბაჟო კონტროლის პროცედურები, კონტროლის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით“** (სულ 15 მსმენელი).

<u>ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა პროფესიული ტესტირებების ორგანიზების გზით ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის</u>

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე პროფესიული მიმართულების ტესტირება და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ დასაქმების მსურველ კანდიდატებს (სულ 1979 კანდიდატი, 27 ტესტირება).
- აკადემიამ განახორციელა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, შპს საქაერონავიგაციისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის შესარჩევი ეტაპის (პროფესიული მიმართულების, კომპიუტერული უნარების და ინგლისური ენის დონის დასადგენი ტესტირება) ორგანიზება და ჩატარება (984 აპლიკანტი, 12 ტესტირება).

<u>ფინანსთა სამინისტროს რეფორმების ხელშეწყობა ტრენინგების უზრუნველყოფით:</u>

- საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, საჯარო სექტორში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების დანერგვის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები: „**IPSAS-ის საბაზისო ტრენინგი**“ (15 მსმენელი) **და „IPSAS-ის სიღრმისეული ტრენინგი**“ (15 მსმენელი).
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 1 დღიანი ტრენინგი **„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ცვლილებების გაცნობა“** (სულ 720 მსმენელი).

<u>ტრენინგების ორგანიზება დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის, ფიზიკური პირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:</u>

- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“** (4 მსმენელი).
- ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სწორად გამოყენების პრინციპებისა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს მიერ შემუშავებული მიდგომების გაცნობის მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„ორმაგი დაბეგვრის პრინციპები“** (სულ 87 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა საწარმოს წარმომადგენლებისთვის მიმდინარეობს სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (82 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის გაცნობისა და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა საწარმოს წარმომადგენლებისთვის დაიწყო სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (22 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, აუდიტის არსისა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებისა და ფიზიკურ პირებისთვის

- მიმდინარეობდა სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (41 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო აუდიტის განხორციელების პროცედურების, აუდიტის არსისა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებისა და ფიზიკურ პირებისთვის ტარდება სასწავლო კურსი **„საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები“** (18 მსმენელი).
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებთან ერთად ფიზიკურ პირს ჩაუტარდა სასწავლო კურსი: **“ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში“** (1 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეების გაცნობისა და პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„სამუშაო შეხვედრები საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვაში“** (სულ 40 მსმენელი).
- ბიზნეს სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“ (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)** (30 მსმენელი) .
- ბიზნეს სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებისთვის დაიწყო სასწავლო კურსი **„ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“ (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით)** (15 მსმენელი) .
- საჯარო ორგანიზაციებში საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით, საჯარო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებიან სასწავლო კურსს **„საჯარო ფინანსების მართვა“** (25 მსმენელი).
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, შესყიდვების დაგეგმვისა და ტენდერის ჩატარების პროცედურების შესწავლის მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი **„სახელმწიფო შესყიდვები“** (8 მსმენელი).
- სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა ტრენინგი **„ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა“,** რომლის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ფისკალური და

მონეტარული პოლიტიკა (26 მსმენელი).

- საზოგადოებაში აკადემიის შესახებ ცნობიერების ამაღლების და განახლებული, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული სასწავლო თუ ტრენინგ კურსების პოპულარიზაციის მიზნით, ფიზიკური პირებისა და კერძო საწარმოების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ღია ლექციები აკადემიაში მიმდინარე სასწავლო კურსებისა თუ ტრენინგების თემატიკიდან გამომდინარე (სულ 600 მსმენელი).
- მოგების გადასახადის ახალი მოდელის გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისა და მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელშეწყობით მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის წევრებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით (სულ 240 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, კერძოდ, მოგების გადასახადის ახალი მოდელის გაცნობის მიზნით სოციალური საწარმოების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„საგადასახადო კანონმდებლობა და მოგების გადასახადის რეფორმა“** (სულ 16 მსმენელი).
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონების, აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესების და პროცედურების დაცვის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში“** (სულ 78 მსმენელი).
- 2016 წლის ბოლოს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა სსიპ გარემოს დაცვის სააგენტოს თანამშრომლებისათვის სასწავლო კურსი **„საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება“** (15 მსმენელი).
- საბაჟო ტერმინალების თანამშრომლებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების პროცედურების, პრაქტიკული რჩევების გაზიარების მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **„საბაჟო გაფორმება და პროცედურები“** (20 მსმენელი).
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების პროცედურების, პრაქტიკული რჩევების გაზიარების მიზნით, დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**საბაჟო დეკლარირება და დეკლარირების ფორმები“** (16 მსმენელი).
- მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებული საგადასახადო ცვლილებების გაცნობის მიზნით, კერძო კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის ჩატარდა ტრენინგები **„მოგების გადასახადის რეფორმა“** (სულ 217 მსმენელი).
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის თანამშრომლებისათვის ჩატარდა

ტრენინგი „სასწავლო პროგრამებისა და მასალების რევიზია, სწავლების მეთოდოლოგია“ (სულ 40 მსმენელი).

- PPP პროექტის ციკლის და როგორც პირველადი ასევე ძირითადი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრა თემაზე: **„საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა“** (15 მსმენელი). სამუშაო შეხვედრა ჩატარდა აზიის განვითარების ბანკის თანამშრომლობით.
- სს კრედო ბანკის თანამშრომლებისთვის საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გაცნობის მიზნით ჩატარდა ტრენინგი „**საგადასახადო ადმინისტრირება“** (სულ 55 მსმენელი).
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „**საბიუჯეტო კლასიფიკაცია“** (13 მსმენელი).
- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, შსს საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„საჰაერო ტვირთების კონტროლი“** (19 მსმენელი).
- სხვადასხვა სამინისტროების IT მიმართულების თანამშრომლებისათვის საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მაიკროსოფტის სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით ჩატარდა ტრენინგი „**Microsoft-ის სიახლეები**“ (23 მსმენელი).
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები: „**პროგრამების ანალიზის დოკუმენტების შემუშავება-გადამუშავება**“ (25 მსმენელი), „**DB engineering & consulting GmbH-ის მიერ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა ტრენერებისთვის ტრენინგებ**ი“ (34 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ინიციატივით საბიუჯეტო სამსახურების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„საინვესტიციო პროექტების მართვა“** (სულ 90 მსმენელი).
- მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ლიდერი ქალებისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შემდეგ თემებზე: პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შემოწმება", "საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა", "საბაჟო პროცედურები და სიახლეები", "ლიდერობა და მართვა“, "თანამშრომელთა მოტივაცია ორგანიზაციაში" ,“რა იურიდიული ფორმები მოვირგოთ ჩვენი ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის", "მოგების გადასახადის ახალი დაბეგვრის მოდელი", და "დღგ - დამატებითი ღირებულების გადასახადი (სულ 180 მსმენელი).
- ექსელის პროგრამის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების ასახვისა და

განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შესწავლის მიზნით, ფიზიკური პირებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მოდელირება ექსელში“** (30 მსმენელი).

- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პროგრამაში მუშაობის ცოდნის დაუფლებისა და სისტემაში საჭირო ოპერაციების შესრულების მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი **“სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა”** (14 მსმენელი).
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებთან ერთად დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდიკის გაცნობის მიზნით ჩატარდა კურსი თემაზე **„ტრენერთა ტრენინგი**“ (10 მსმენელი).
- საქართველოს საგადასახადო და სისხლის სამართალში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით კერძო ორგანზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა **„ცვლილებები საქართველოს საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსში“** (480 მსმენელი).
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის თანამშრომლებისათვის ჩატარდა „**DB engineering & consulting GmbH-ის მიერ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა ტრენერებისთვის ტრენინგები**“ (სულ 40 მსმენელი).
- ჰოლდინგ კვირის პალიტრის ფინანსური განყოფილების თანამშრომლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსი: **„საგადასახადო კანონმდებლობა და ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში“** (19 მსმენელი)
- სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის თანამედროვე წარმატებული პრაქტიკის, მიდგომების გაზიარებისა და შიდა აუდიტის საფუძვლების გაცნობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგი **„შიდა აუდიტის საფუძვლები“** (22 მსმენელი), **,სისტემური აუდიტი“** (20 მსმენელი).
- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და ფიზიკურ პირებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსი „**საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგება ორისის გამოყენებით“** (14 მსმენელი).
- მოგების გადასახადის ცვლილებებიდან გამომდინარე, დღგ-ს დაბეგვრის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**ავანსების დაბეგვრა დამატებული ღირებულების გადასახადით“** (სულ 102 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაბეგვრის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს

ჩაუტარდათ ტრენინგი „**საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული ნორმები**“ (სულ 39 მსმენელი).

- კერძო საწარმოების წამომადგენლებს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურების გაცნობის მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგი **”ინვენტარიზაციის საგადასახადო აღრიცხვა / ანგარიშგების ჩატარების წესი კერძო სექტორში“** (26 მსმენელი).
- მოგების გადასახადის ცვლილებებიდან გამომდინარე, დღგ-ს დაბეგვრის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„დღგ-ს ჩათვლა ძირითად საშუალებებზე, საქონელსა და მომსახურებაზე“** (სულ 25 მსმენელი).
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ბიზნეს სექტორის ფინანსური განყოფილების წარმომადგენლებისათვის თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდა გაცნობითი პრეზენტაცია **„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს")“** (138 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაბეგვრის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „**არარეზიდენტი პირის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან და უკუდაბეგვრა**“ (სულ 17 მსმენელი).
- სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი **„სამართლებრივი წერა“** (30 მსმენელი).
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ 10 სხვადსხვა მიმართულების ტრენინგი: ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები", "ზოგადი უნარები და კომპეტენციები", "მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და ანგარიშგება", "ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი რეგულირება", "სოციალური დაცვის და ჯანდაცვის საკითხები მუნიციპალიტეტში", "კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარების ხელშეწყობა და მართვა", “ადმინისტრაციული წარმოება", "ადამიანური რესურსების მართვა", "მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები და საშუალებები", "მუნიციპალიტეტის ქონების მართვა და განკარგვა“ (სულ 147 მსმენელი).
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, კერძოდ, მოგების გადასახადის ახალი მოდელის გაცნობის მიზნით კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „**მოგების გადასახადის ახალი წესები და მასთან დაკავშირებული სიტუაციური სახელმძღვანელოების განხილვა**“ (სულ 19 მსმენელი).

- კორუფციის და თაღლითობის საკითხებში ცნობადომის ამაღლების, მათი პრევენციის მექანიზმების შესწავლისა და აგრეთვე გერმანული და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და გამცდილების გაზიარების მიზნით საჯარო სექტორში მომუშავე შიდა აუდიტორებისთვის GIZ-ის მხარდაჭერითა და ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია“** (23 მსმენელი).

<u>საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების (მათ შორის, რეგიონალური) მიზნით:</u>

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დაესწრო სასწავლო კურსს **„საგადასახადო კანონმდებლობა“** (1 მსმენელი).
- USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან „მმართველობა განვითარებისათვის“ თანამშრომლობით, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგები: **„საქართველო და ევროინტეგრაცია“** (25 მსმენელი), **„საქართველო და ევროპასთან ასოცირება“** (29 მსმენელი).
- სხვადასხვა უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირებისა და ფინანსური მიმართულების სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგები: **„ფინანსების მართვის პრინციპები კერძო კომპანიებში“** (25 მსმენელი), **„საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლები“** (25 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის 07.07.2016 წელს დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის მიახლოებას ევროკავშირის სისტემასთან, უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემაზე: **„ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლის რეგულაციები“** და **„არა ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლის რეგულაციები“**.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„ფინანსური**

პროგრამირება და პოლიტიკა“, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებისთვის მიეცა ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინონ მაკროეკონომიკური დისბალანსი და აღმოფხვრან მაკორექტირებელი პოლიტიკის გატარების გზით (25 მსმენელი) და „**ფისკალური პოლიტიკის ანალიზი**“ (28 მსმენელი)

- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჰოლანდიელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი: **“IT აუდიტი”** (50 მსმენელი).
- გორდელერის დემოკრატიული მმართველობის კოლეჯის სასწავლო პროგრამის გაცნობის მიზნით, ჩატარდა შეხვედრა პროგრამის კონკურსანტებთან (35 მსმენელი).
- აშშ-ის საელჩოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და სუფსის საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის შუა რგოლის მენეჯერებისათვის ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი **„ლიდერობა და მართვა“** (32 მსმენელი).
- ვერბალური, არავერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით შსს-ს აკადემიის სამართლის სკოლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგი **“სტრატეგიული კომუნიკაცია“** (სულ 28 მსმენელი).
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრა **„ფინანსების მოძიების გზები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შუა აზიაში“**, რომელიც განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუტის (CAREC Institute), აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და აზიის განვითარების ბანკის ინსტიტუტის (ADBI) თანამშრომლობით. სამუშაო შეხვედრის მიზანია, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოების მიერ დაფინანსების წყაროების მოძიებასა და განსაზღვრას. აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის ინსტიტუტის სტრატეგიის ერთ-ერთ ნაწილს: სიღარიბის დაძლევა, ინკლუზიური ზრდა და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მხარდაჭერა. შეხვედრას ესწრებოდა შუა აზიის ქვეყნების ფინანსთა, ეკონომიკის და ეროვნული ბანკების საშუალო რგოლის წარმომადგენლები. (ჩინეთი,

-

იაპონია, ავღანეთი, პაკისტანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო)

(50 მსმენელი)

- სხვადასხვა სამინისტროს ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მყოფი საფინანსო/ეკონომიკური სამსახურების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი **„ფინანსური მართვა და კონტროლი“** (47 მსმენელი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე - **„მაკროეკონომეტრიკული პროგნოზირება და ანალიზი“,** რომელიც მიზნად ისახავდა შეასწავლოს მონაწილეებს მაკროეკონომეტრიკული მოდელის შეფასება და მისი გამოყენება პროგნოზირებისა და პოლიტიკის ანალიზის დროს, როგორც ცენტრალურ ბანკებსა და სამინისტროებში, ასევე საჯარო კვლევით ცენტრებში (28 მსმენელი).
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჰოლანდიელმა ექსპერტებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და საფინანსო-ანალიტიკური და სახაზინო სამსახურის თანამშრომლებს (სულ 13 მსმენელი), პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, ჩაუტარეს ტრენინიგი თემაზე: **„ელექტრონული ბიუჯეტირება“,** ხოლო აუდიტის დეპარტამენტისა და მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის (სულ 8 მსმენელი) ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„გარიგების შეფასება“,** რომელიც მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას გარიგების შეფასების შესახებ.

დასახული საბოლოო შედეგები:

- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
- *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*
- *საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.*

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
- *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
- *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*

საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა**
   საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ასევე, სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად (მუდმივი პროცესი); 2016 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1185 თანამშრომელი. 2017 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1263 თანამშრომელი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ყოველწლიურად 5%-ით ზრდა.

   ფაქტიური შედეგი - გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 7%-ით.

2. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების და საჯარო და კერძო სექტორისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

   საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების, ასევე, უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი). 2016 წელს აკადემიის

ორგანიზებით განხორციელდა 31 (1186 აპლიკანტი) ტესტირება. 2017 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 39 (2963 აპლიკანტი).

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2%-ით.

ფაქტიური შედეგი - ფაქტიურად ჩატარებული ტესტირების რაოდენობა გაიზარდა 25% -ით.

3. **ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული კადრების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის. 2016 წელს აკადემიაში გადამზადდა 496 დაინტერესებული ადამიანი. 2017 წელს აკადემიაში გადამზადდა 750 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 2%-ით.

ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 6%-ით.

4. **საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ტრენინგებს დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის, ფიზიკური პირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. 2016 წელს აკადემიაში გადამზადდა 1917 დაინტერესებული ადამიანი. 2017 წელს აკადემიაში გადამზადდა 3311 დაინტერესებული ადამიანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 2%-ით.

ფაქტიური შედეგი - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 73%-ით.

5. **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა.**

საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 471 პირი. 2017 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 449.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში გადამზადებულ პირთა რაოდენობის ზრდა 2 %-ით.

ფაქტიური შედეგი - გადამზადებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 5%-ით. გადამზადებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიზეზს წარმოადგენს შუა აზიაში არსებული ეკონომიკური კრიზისი, რომლის გამო 2017 წელს შუა აზიის ქვეყნების საჯარო დაწესებულებებმა ვერ შეძლეს ფინანსთა სამინისტროს აკადემიისაგან კურსების შესყიდვა თავიანთი თანამშრომლების გადამზადების მიზნით.